მშობლის
ცნობარი

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა

საქართველოში მიმდინარე სოციალური პროგრამები

საინფორმაციო ბუკლეტში განთავსებული ინფორმაცია ეყრდნობა საქართველოს მთავრობის დადგენილებას N102
სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ
სოციალური მომსახურეობის საგენტოს ცხელი ხაზი -15 05

ვინ არის პროგრამით მოსარგებლე?

გონებრივი განვითარების ჩამორჩენის მქონე 0-7 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებსაც აქვთ ექიმის მიერ გამოვლენილი განვითარების ეტაპების დაყოვნება, შეზღუდული შესაძლებლობა ან ამ მხრივ რისკი, რაც დადასტურებულია სამედიცინო ფორმა №IV-100/ა-ით.(სახელმწიფო პროგრამის დანართში მოცემული ICD-10-ის დიაგნოზებით)

პროგრამაში ჩართვისთვის საჭიროა:

• სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელზე დაწერილი განცხადება, რომლის წარდგენა შეუძლია, როგორც პროგრამით სარგებლობის მსურველს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს. განცხადების წარდგენა შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

• კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობა ან პასპორტი) ასლი, ხოლო მინდობით აღზრდის შემთხვევაში-მინდობით აღზრდის ხელშეკრულება;

• ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

• შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (საპენსიო მოწმობა);

• პირზე გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია – ფორმა №IV-100/ა). ფორმა №IV-100/ა ის აღება რეკომენდირებულია პროგრამაში ჩართვამდე არაუადრესს 30 კალენდარული დღის.

შენიშვნა: პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, სოციალურ მომსახურეობის სააგენტო მოგცემთ პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო ვაუჩერს. ვაუჩერის გამოყენების პირობებსა და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას გაგაცნობთ სოციალური მუშაკი.

სერვისის მიწოდების სტანდარტები

პროგრამის მიზანია:

ბავშვის განვითარების, კერძოდ, სოციალური და თვითმოვლის უნარების, შემეცნებითი უნარების, მოტორული და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა. შეფასებისა და შესაბამისი მეთოდოლოგიის საშუალებით ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის (გრძელვადიანი და მოკლევადიანი გაზომვადი მიზნებით) შედგენა, განხორციელება და სისტემატიური განახლება.
პროგრამა მოიცავს:

- 3 წლამდე ასაკის ბავშვების ინდივიდუალურ მომსახურებას უპირატესად ოჯახის პირობებში მშობლების/ძირითადი მომვლელების მონაწილეობით;
- ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად მშობლის/მინდობით აღმზრდელის მომზადებას (მათ შორის, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის სწავლება);
- 3-7 წლამდე ასაკის ბავშვების ინდივიდუალურ და ჯგუფურ მომსახურებას ბუნებრივ გარემოში, რომელიც სახლის გარდა შეიძლება იყოს საბავშვო ბაღი, სკოლა ან სხვა ადგილი, სადაც ბავშვი ატარებს დროის დიდ ნაწილს. საჭიროებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური მომსახურება შესაძლებელია ასევე განხორციელდეს მიმწოდებელთან დაწესებულებაში, რაც გაწერილი იქნება ინდივიდუალურ გეგმაში. წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს თვეში განსაზღვრული მომსახურების 50%-ს და უნდა მიმდინარეობდეს მიმწოდებელთან დაწესებულებაში მათი მშობლების/აღმზრდელების მონაწილეობით. ჯგუფში ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა არის 5, რომლებთანაც მუშაობს სულ მცირე 2 პროფესიონალი ან პროფესიონალი და პარაპროფესიონალი;
- მომსახურეობაში ჩართვიდან ერთი წლის (თორმეტი თვის) განმავლობაში დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტების) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს 8-ს, მომსახურებაში ჩართვიდან მეორე წლის განმავლობაში –6 -ს, მომსახურებაში ჩართვიდან მესამე (24 თვის შემდგომი) და შემდეგი წლების განმავლობაში –4-ს.
- ბავშვის და მისი გარემოს ხელახალ შეფასებას ადრეული ინტერვენციის სტანდარტით განსაზღვრულ ვადებში. შეფასებიდან გამომდინარე, შესაბამისი სპეციალისტების მიერ ხდება გადაწყვეტილების მიღება მომსახურების გაგრძელების, ან ბავშვის სხვა მომსახურებაში გადამისამართების თაობაზე;
- ბავშვის და ოჯახის დახმარებას, რათა მათ მარტივად დატოვონ ადრეული განვითარების პროგრამა და ჩაერთონ სასწავლო დაწესებულებაში (საბავშვო ბაღში ან სკოლაში) სტანდარტით განსაზღვრულ ვადებში.

რა შემთხვევაში წყდება მომსახურეობა?

- ზედიზედ 2 თვის ვაუჩერის ტალონის გამოუყენებლობა იწვევს ვაუჩერის ავტომატურად გაუქმებას, გარდა შესაბამისი დაწესებულების ფუნქციონირების დროებითი შეჩერების შემთხვევებისა, რაზეც მიმწოდებელი მინიმუმ ერთი თვით ადრე წერილობით აცნობებს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს/მიდნობით აღმზრდელს, სააგენტოსა და სამინისტროს;.
- ვაუჩერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოციალური მომსახურების სააგენტო.

რეგისტრაციის დიაგრამა

15 05

დარეკეთ და გაიგეთ უახლოესი სოციალური მომსახურეობის სააგნეტოს საკონტაქტო ინფორმაცია.

ბავშვის პირადი ნომრის საფუძლევზე გაიგეთ რომელი სადაზღვეო პაკეტით სარგებლობთ.

IV-100/ა

მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და დაზღვევის არსებობის შემთხვევაში ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.

IV-50/4

საპენსიო მოწმობას, სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის ქონის შესახებ, გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები.

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ მიმართეთ უახლოეს სოციალურ მომსახურეობის სააგენტოს. განცხადება დღის ცენტრის ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

შენიშვნა: ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამაში მოხვედრისათვის არაა აუცილებელი სტატუსის ქონა. რიგ შემთხვევაში საკმარისია ფორმა IV-100/ა

ხშირად დასმული კითხვები:

1. როგორ ვიპოვო ადრეული განვითარების მომსახურეობის მიმწოდებელი ჩემს რეგიონში?
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 15 05

2. თუ პედიატრმა არ გადაამისამართა ჩემი შვილი ექიმ-ექსპერტთან, რაც ვთვლი რომ აუცილებელი იყო, ვის შეიძლება დავუკავშირდე?
მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის ცხელი ხაზი: 0 801 200 202

3. რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში ბავშვის სტატუსის მიღების მიზნით? საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 15 05

4. ვის მივმართო თუ შემიწყდა ადრეული განვითარების მომსახურეობის ვაუჩერი?
ადგილობრივი სოციალური მომსახურეობის სააგენტო
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 15 05

5. ვის მივმართო თუკი ვიცი რომ ოჯახური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემი შვილი ვერ ისარგებლებს ადრეული განვითარების ვაუჩერით გადაბმულად ორი თვის მანძილზე?
ადგილობრივი სოციალური მომსახურეობის სააგენტო
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 15 05

6. ვის შეიძლება მივმართო თუ გვიანდება ჩემი შვილის ჩართვა ადრეული განვითარების პროგრამაში, ან არ ხდება ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევა?
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 15 05
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81
მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის ცხელი ხაზი: 0 801 200 202

შენიშვნა:

არსებობს რამოდენიმე მუნიციპალური დაფინანსების ქვეშ მყოფი ადრეული განვითარების ცენტრები. დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.

მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2008 წელს.
ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებს და მათ ოჯახებს.

+995 32 197 378 | კავსაძის ქ. 3, თბილისი 0179 | უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202